Revaz Mishveladze
Professor, Georgian Technical University
Member of Parliament of Georgia from 1999 to 2004

In the Vicious Circle of American Politics

(Abstract)

KEYWORDS: Georgia, United States (USA), Donald Trump, Deniza Sumbadze, Diplomacy, National Identity, Globalisation

In 2018, Professor Deniza Sumbadze, a Georgian philosopher and veteran of Georgia's national movement in the 1990s, wrote to US President Donald Trump. His inaugural address had prompted her to express what she saw as a fresh perspective and an act of civic courage.

Trump's speech challenged a world unsettled by globalisation and by what he described as a globalist agenda influenced by George Soros. It warned against cultural homogenisation and its potential to erode national identity. One line in particular caught Sumbadze's attention: the promise "to free the Earth from the miseries of disease". The call to return to national roots came not from the leader of a small, staunchly nationalist state, but from the president of a country widely regarded as a leading force in the global "New World Order".

I see Sumbadze's letter as part of a broader debate about Trump and the political forces he represents. His critics and supporters have interpreted his presidency in sharply different ways. In my reading, the administrations of Barack Obama and Joe Biden failed to understand the appeal of his politics. Trump left office after losing the 2020 election, amid continuing controversy and legal challenges, before returning to the White House in 2025. His return was an extraordinary political event,

BRAMS 2026 Aug
Volume 7, Issue 18
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

and he set about pursuing his vision of a troubled world through direct and uncompromising methods.

Sumbadze's letter is significant not only as a personal appeal to a US president, but also as a document that may interest scholars of Georgian public opinion and diplomacy. It brings together her reflections on contemporary challenges and the ideological currents shaping international affairs. Her thoughts on the future of the world made a particular impression on me. I admired the clarity and force of her ideas.

How many states could then have declared, with comparable moral authority and in a voice heard around the world, that a small nation in the Caucasus remained alive and thriving? Despite centuries of hardship, struggle and resistance, Georgia had preserved its distinctive identity and the defining features of its nationhood. I see a connection between the cause Trump took up in the 21st century and the struggle Georgia has waged for millennia.

At the heart of my argument is the conviction that a peaceful world depends on states grounded in national identity coexisting with one another. I regard the nation-state as the soundest basis for state-building. Other paths, I argue, lead towards empire – and empires are ultimately destined to collapse. I also contend that a state's stability depends on a shared sense of identity and faith.

This perspective also shapes how I understand conflicts between states and nations: at their heart, they are struggles over homeland and freedom. Globalisation may hold powerful attractions, but nations with a strong sense of dignity will eventually reassert themselves. The impulse towards self-determination can endure even when it appears dormant.

Georgia, as I understand its history, has long upheld humanism, high moral standards, national self-awareness, ethnic integrity, Christian forgiveness, tolerance and justice. These values, particularly in recent years, have also shaped the country's efforts to maintain constructive relations with the United States.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

New York, the country's largest city, is home to the Statue of Liberty. Standing on Liberty Island near the mouth of the Hudson River, south of Manhattan, it has become a recognised symbol of the United States and a beacon of hope for people around the world.

What, then, became of Sumbadze's letter? Written in a spirit of sincerity and solidarity, it might have resonated with Trump. The letter presents the United States as a superpower increasingly isolated in the "murky ocean" of globalisation, and Georgia as an ally whose centuries of experience reinforce the president's ideals. Sumbadze kept the letter for years and arranged for it to be translated into English, but she could find no institution in Georgia willing to deliver her message of respect and support to the US president.

Eventually, the letter reached the US Embassy, where it passed through the hands of two successive ambassadors. According to Sumbadze, one repeatedly assured her that it would be sent "any day now", but left Georgia without arranging for its delivery to the president's administration. Her successor also left office without forwarding it to Trump. To me, the episode illustrates the vulnerability of a small nation and how readily its concerns can be dismissed or overlooked.

I suspect the letter might have received swifter attention had it criticised Bidzina Ivanishvili or Georgia's prime minister, Irakli Kobakhidze. Instead, it expressed support for the US president's agenda without provoking political controversy and attracted little notice. Georgia's support for Trump and its commitment to faith and religious tradition are not, as I see them, the product of a sudden shift in perspective. They are longstanding features of the nation's way of life and central themes of Sumbadze's letter. Yet the letter has still not reached its intended recipient. It remains caught in what I call the "vicious circle" of American politics.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რევაზ მიშველაძე
პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი (1999-2004)

ამერიკული პოლიტიკის მოჯადოებულ წრეში

საკვანძო სიტყვები: საქართველო, აშშ, დონალდ ტრამპი, დენიზა სუმბაძე, დიპლომატია, ეროვნული იდენტობა, გლობალიზაცია

ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, ფილოსოფოსმა, ეროვნული მოძაობის ვეტერანმა, პროფესორმა დენიზა სუმბაძემ 2018 წელს აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს წერილი[1] მისწერა, მისი საინაუგურაციო სიტყვის შთაბეჭდილებით. ქალბატონი დენიზა აღფრთოვანებული იყო იმ სიახლითა და მოქალაქეობრივი გაბედულებით, რაც აშკარად ჩანდა ახალარჩეული პრეზიდენტის გამოსვლიდან.

დონალდ ტრამპი ჯერ კიდევ მაშინ დაუპირისპირდა გლობალისტურ-სოროსული ბანგით გაბრუებულ მსოფლიოს, რომელსაც ნიველირების ტენდენცია ეროვნული გადაგვარებისკენ მიაქანებდა და თავის დევიზად დაისახა: „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“.[2] ეს განცხადება მაშინ მნიშვნელოვანი ნოვაცია იყო: თავის თანამედროვე მსოფლიოს ეროვნული ფესვებისკენ დაბრუნებას უქადაგებდა არა რომელიმე პატარა, ნაციონალურად ჭირვეული სახელმწიფოს მეთაური, არამედ, სწორედ იმ სახელმწიფოს პრეზიდენტი, რომელიც მსოფლიოს „ახალი წესრიგის“[3] მესაჭედ გვევლინებოდა. მაშინ ბარაკ ობამებისა და ჯო ბაიდენების ამერიკამ დონალდ ტრამპს ვერ გაუგო. „ვერგაგება“ იმით გამოიხატა, რომ იგი პრეზიდენტის სავარძელში მეორე ვადით არ

BRAMS 2026 Aug
Volume 7, Issue 18
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დატოვა ამერიკელმა ამომრჩეველმა;[4] უფრო მეტიც, კინაღამ ციხეშიც ჩასვეს.[5]

გამოხდა ხანი და მოხდა ისტორიულად თითქმის უპრეცედენტო ფაქტი: დონალდ ტრამპი თეთრ სახლში დაბრუნდა.[6] ამჯერად უფრო ენერგიულად შეუდგა კიდევ უფრო დასნებოვნებული მსოფლიოს მისეული მეთოდებით განკურნებას.[7]

დენიზა სუმბაძის წერილს ახლა უკვე ისტორიული ღირებულება აქვს, მაგრამ ქართული საზოგადოებრივი აზრის, განებავთ – დიპლომატიის ისტორიკოსი მას გვერდს ვერ აუვლის. ესაა თანამედროვეობის პრობლემების, მსოფლიოს ურთიერთგამომრიცხავი იდეოლოგიური დინებების ღრმა ცოდნით დაყურსული წერილი. გამაოცა ქალბატონი დენიზას გარკვეულობამ იმ ურთულეს საკითხში, რასაც მსოფლიოს მომავალი[8] ქვია. არ მოველოდი – სიამაყე მომგვარა ქართველი ქალბატონის აზრის ნათება-სხივოსნობამ.

განა მსოფლიოს ბევრ სახელმწიფოს ჰქონდა მაშინ მორალური უფლება, ხმამაღლა განეცხადებინა, რომ კავკასიის მთების ძირში ჯერ კიდევ ფეთქავს პატარა სახელმწიფო, რომელმაც თავისი ორიგინალური სახე საუკუნეთა განმავლობაში რის ვაი-ვაგლახით, ჭაპანწყვეტითა და ვაინაჩრობით,[9] მხოლოდ ეროვნული ატრიბუტების დაცვით შეინარჩუნა. რომ ის, რასაც ამერიკის პრეზიდენტი აი, ახლა, XXI საუკუნეში შეჭიდებია, სრული თანხვედრაა იმ ბრძოლასთან, საქართველო რომ ეწეოდა ათასწლეულთა წიაღ.

ხომ ამბობდა ქართველი მოქადაგე, რომ მსოფლიოს მხოლოდ ეროვნულ სახელმწიფოთა მშვიდობით, თანხმობით ცხოვრება გადაარჩენს. ხომ გვწამდა, რომ სახელმწიფოს შენების ერთადერთი მართებული გზა ეროვნული სახელმწიფოს შენების გზაა, ხოლო ყველა

BRAMS 2026 Aug
Volume 7, Issue 18
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სხვა გზა იმპერიისკენ მიდის, ყველა იმპერია კი, ადრე თუ გვიან, დასანგრევადაა განწირული. ხომ გვჯეროდა, რომ თუ ეთნიკური ერთობისა და მონოლითური რწმენის ბალავარი არ ამაგრებს სახელმწიფოს სხეულს, იგი უსათუოდ ჩამოიშლება. ხომ ვამბობდით, რომ სახელმწიფოთა და ერთა ურთიერთრკინება სამშობლო მიწისთვის და თავისუფლებისთვის ბრძოლაა და თუ დროებით გავაბრუებთ ადამიანებს გლობალიზმის ბრჭყვიალა სათამაშოებით, ბოლოს და ბოლოს ყველა ღირსეული ერი მაინც გამოფხიზლდება, ვინაიდან მის ლამაზ სიზმრებში მუდმივად ციალებს თვითგამორკვევის უწმინდესი ნერვი.

რა ბედი ეწია დენიზა სუმბაძის ამ მართალ წერილს, რომელიც დონალდ ტრამპსაც უნდა გახარებოდა, რაკიღა გლობალიზაციის მღვრიე ოკეანეში ლამის მარტოდ შთენილ სუპერსახელმწიფოს პრეზიდენტს საქართველოს სახით ისეთი მხარდამჭერი გამოუჩნდა, რომელიც მის მაღალზნეობრივ იდეებს[10] პატარა ერის[11] პრაქტიკაში საუკუნეთა განმავლობაში უკვე დამკვიდრებულ-გამართლებული ბალავრით ამაგრებდა.

შვიდი წლის განმავლობაში ატარა პროფესორმა ქალბატონმა ეს წერილი. საკუთარი სახსრებით ათარგმნინა ინგლისურად და გაამზადა, მაგრამ ვერ იპოვა საქართველოში უწყება, რომელიც ამერიკის პრეზიდენტისადმი თანადგომითა და პატივისცემით აღსავსე ამ წერილს ადრესატს მიაწვდიდა. სიცრუე და ორპირობა კი, რამდენიც გნებავთ: სხვადასხვა უწყებაში მოკალათებული ჩინოვნიკები პირდებოდნენ, რომ წერილს ამერიკის პრეზიდენტს დღედღეზე გაუგზავნიდნენ. ზოგიერთი აშკარა სიცრუესაც კადრულობდა: უკვე გავგზავნეთ და პასუხს ველოდებითო.

არადა, ხომ არაფერი დაშავდებოდა, ვიდრე ქართველი ოპოზიციონერები ვაშინგტონში ჩავიდოდნენ და

BRAMS 2026 Aug
Volume 7, Issue 18
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

„მათ უახლოეს მეგობარ“ დონალდ ტრამპს დეზინფორმაციას მიაწვდიდნენ: საქართველო ამერიკის დაუძინებელი მტერია, ახლა მას არალეგიტიმური ხელისუფლება მართავს და დემოკრატიას აცამტვერებენ,[12] ჩვენნაირ პატიოსან ადამიანებს კი ცოცხლად ჭამენო, მანამდე დენიზა სუმბაძის წერილიდან გაეგო ამერიკის პრეზიდენტს სიმართლე.

რა სიმართლე? ის, რომ საქართველო ოდითგან იდგა ჰუმანიზმის,[18] მაღალი ზნეობის, ეროვნული თვითშეგნების,[21] ეთიკური სიწმინდის, ქრისტიანული მიმტევებლობის, ტოლერანტობისა და სამართლიანობის პრინციპებზე; განსაკუთებით – ბოლო წლებში.

ყოველთვის სურდა და კვლავაც სურს იმ ქვეყანასთან კეთილი ურთიერთთანამშრომლობა, რომლის უდიდეს ქალაქში, მანჰეტენის სამხრეთით, მდ. ჰუდსონის შესართავთან თავისუფლების კუნძულზე აღმართული აშშ-ის ყველაზე ცნობილი სიმბოლო – თავისუფლების ქანდაკება[25] მთელს მსოფლიოს ეიმედ-ეჩირაღდნება.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ქალბატონი დენიზას ამ წერილმა ამერიკის საელჩომდე მიაღწია და ორი ბოლო ელჩის ხელში გაიარა. პირველმა – „დღეს-ხვალ, დღეს-ხვალო“ და ქვეყნიდან ისე წავიდა, ქართველი სწავლულის წერილს მწვანე შუქი არ აუნთო ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციისკენ. მეორე ელჩი კი ისე გადადგა, ვერ მოიცალა დონალდ ტრამპისთვის მისი კუთვნილი წერილის გასაგზავნად. მძიმეა პატარა ერის ხვედრი; იოლად აძლევენ თავს მავანნი მისი შევიწროების უფლებას. სავალალო ისაა, რომ უეჭველად „მოიცლიდნენ“ ამერიკელი ელჩ-დიპლომატები და ოპერატიულადაც გაუგზავნიდნენ ტრამპს პროფესორ დენიზა უმბაძის წერილს, მასში რომ ბიძინა ივანიშვილის ან,

BRAMS 2026 Aug
Volume 7, Issue 18
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

თუნდაც, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის აუგი ყოფილყო ნახსენები.

უმთავრესი ისაა, რომ საქართველოს დონალდ ტრამპის მხარდაჭერა ახლა არ მოსვლია აზრად, ახლა არ გახსენებია რწმენისა და რჯულის ერთგულება. ეს პრინციპები ქართველებს ოდითგანვე სისხლში გვაქვს გამჯდარი და საუკუნეებია, ერის ცხოვრების წესს წარმოადგენს. სწორედ ამაზეა საუბარი დენიზა სუმბაძის ადრესატამდე ჯერაც მიუღწეველ წერილში.

რა გზას დავადგეთ ახლა, როგორც დამწყები დემოკრატია და მცირე ზომის სახელმწიფო? პოლიტიკურ გავარვარებულ თონეში თავჩაყოფილ ამერიკის პრეზიდენტს ათასი საქმე აქვს წამოწყებული და გრძელი წერილების წასაკითხად ნამდვილად არ სცალია, რუსეთ-უკრაინის ომის გადამკიდეს. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი სტრუქტურები ქარში გამოდგმული სანთლებივით ბჟუტავ-ციმციმებენ...

ამერიკელი დიპლომატ-ჩინოვნიკების დიდი ნაწილი საქართველო-ამერიკის ურთიერთობის გაჯანსაღების კატეგორიული წინააღმდეგია. ზოგიერთი „მეგობარი აქტის“ მსგავს რეზოლუციებს იღებს. ამერიკის თბილისური საელჩოები, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვოდ მოძრაობენ: ელჩები გადადგომას ერთმანეთს ასწრებენ, ჩვენს დედაქალაქში განთავსებული დიპლომატიური კორპუსი ცრუდემონსტრაციებს თანაუგრძნობს და საკუთარი აალებული დასავლეთევროპული ქალაქბი არც აშფოთებს, არც აოცებს. გონიერი, მოაზროვნე საქართველო არავის აინტერესებს განვითარებულ დემოკრატიებში. ძალიან პატარა მოჩანს ვაშინგტონიდან (კოლუმბიის ოლქი) საომარ ლელოზე ამოწვერილი ჩვენი ქვეყანა – პატარა ბავშვივით დამოუკიდებლად სიარულის მსურველი საქართველო.

BRAMS 2026 Aug
Volume 7, Issue 18
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ასეთ რეალობაში, ჩვენი ეროვნული ღირსების საქმეა, რომ პრეზიდენტ ტრამპს როგორმე დავუდასტუროთ, რომ მისი „მეორედ მოსვლის“ შემდეგაც არ შეუცვლია შეხედულებები ევროპა-აზიის გზაგასაყარზე აღმოცენებულ ჩვენს ძირძველ სამშობლოს. იქნებ, ახალი ფაქტები დაუმატოს დენისა სუმბაძემ იმ წერილში უკვე ნათქვამს. იქნებ, ცოტა შეამციროს ტექსტი და მერე კიდევ ერთხელ, უკვე „ათასმეერთედ“ ვცადოთ, წერილი ადრესატამდე მივიდეს.

ლიტერატურა ▫ References

1. სუმბაძე დენიზა (2018). „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“: ღია წერილი პრეზიდენტ დონალდ ტრამპს. https://www.scribd.com/document/584032044/ღია-წერილი-პრეზიდენტ-დონალდ-ტრამპს-დენიზა-სუმბაძე
2. Trump, Donald J. (2017, January 20). The Inaugural Address. https://trumpwhitehouse.archives.gov/briefings-statements/the-inaugural-address/
3. დენიზა სუმბაძე (2022, November 15). „ერისშვილები“ [Video]. YouTube. https://www.youtube.com/watch?v=kk-2otAc1AY
4. Bennett, Brian, and Tessa Berenson (2020, November 7). How Donald Trump Lost the Election. *Time*. https://time.com/5907973/donald-trump-loses-2020-election/
5. Cai, Weiyi (2021, Debruary 13). *A Step-by-Step Guide to the Second Impeachment of Donald J. Trump*. The New York Times. https://www.nytimes.com/interactive/2021/02/08/us/politics/trump-second-impeachment-timeline.html
6. Bennett, Brian (2024, November 6). Donald Trump Wins 2024 Election. *Time*. https://time.com/7173338/donald-trump-wins-election-2024/
7. Commander, Anna (2026, January 1). Donald Trump’s Biggest Wins and Losses of 2025. *Newsweek*. https://www.newsweek.com/donald-trumps-biggest-wins-and-losses-of-2025-11282468

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

8. Misra, Riya (2026, April 24). What the next world order looks like. *Politico*. https://www.politico.com/newsletters/forecast/2026/04/24/what-the-next-world-order-looks-like-00891085
9. ვაინაჩრობით – ძლივს; გაჭირვებით. // ვაინაჩრობა – უბედურება. იხ.: ნეიმანი, ალექსანდრე (1978). ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. მესამე გამოცემა, თბილისი: „განათლება“. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/435126/1/Qartul_Sinonimta_Leqsikoni_1978.pdf
10. Tkebuchava, Diana (2026). Rhetoric and Persuasion in an Early Georgian Debate of the 6th Century. *BRAMS*, 7(16), 108–138. DOI
11. ქიქოძე გერონტი. პატარა სამშობლო. იხ.: ჩიკვილაძე დალი (შემდგ. და რედ.) (2010). ქართული პუბლიცისტიკა: ქრესტომათია, XX საუკუნე. ნაკვეთი I, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
12. Nightmare in the Caucuses | In Conversation with Two Prominent Georgian Authors: How Cultural Suppression by Georgian Dream Has Pushed the Country to the Brink of Authoritarianism (2024, October 24). Pen America. https://pen.org/how-cultural-suppression-by-georgian-dream-has-pushed-the-country-to-the-brink-of-authoritarianism/
13. Georgia is dousing the last embers of democracy (2025, November 9). *The Economist*. https://www.economist.com/europe/2025/11/09/georgia-is-dousing-the-last-embers-of-democracy
14. *Democracy Under Siege: Georgia's Autocratic Takeover* (September 2025). The Gnomon Wise Research Institute at the University of Georgia and the Rule of Law Lab at New York University School of Law. New York University. https://www.law.nyu.edu/sites/default/files/2025-09/Georgia%20Report_EN_FINAL_SEPT%202.pdf
15. Sharia, Mariam (2026, April 20). *Political Opposition in Georgia: What Happens When You Speak Out*. Human Rights Experts. https://thehuman-rights.com/georgia-political-opposition-speak-out/

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

16. Meladze, Giorgi, and Nadia Asaad (July 2025). Why Georgia's Democracy Is Collapsing. *Journal of Democracy*. https://www.journalofdemocracy.org/online-exclusive/why-georgias-democracy-is-collapsing/
17. Jones, Stephen (2026, February 24). How to Constrain Dictators: Lessons from Georgia. *George Journal of International Affairs,* Georgetown University. https://gjia.georgetown.edu/human-rights-development/how-to-constrain-dictators-lessons-from-georgia/
18. გოთუა ლევან (1998). გმირთა ვარამი. ნაწილი 1-2, თბილისი: „საქართველო".
19. გოთუა ლევან (1998). გმირთა ვარამი. ნაწილი 3, თბილისი: „საქართველო".
20. გოთუა ლევან (2002). გმირთა ვარამი. ნაწილი 4, თბილისი: „საქართველო".
21. სანიკიძე ლევან (1990). უქარქაშო ხმლები: ქართველთა ისტორიულ-ეპიკური თავგადასავალი ოთხ წიგნად. წიგნი I, თბილისი: „მერანი". https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/87843
22. სანიკიძე ლევან (1991). უქარქაშო ხმლები: ქართველთა ისტორიულ-ეპიკური თავგადასავალი ოთხ წიგნად. წიგნი II, თბილისი: „მერანი". https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/80217
23. სანიკიძე ლევან (1991). უქარქაშო ხმლები: ქართველთა ისტორიულ-ეპიკური თავგადასავალი ოთხ წიგნად. წიგნი III, თბილისი: „მერანი". https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/80227
24. სანიკიძე ლევან (1991). უქარქაშო ხმლები: ქართველთა ისტორიულ-ეპიკური თავგადასავალი ოთხ წიგნად. წიგნი IV, თბილისი: „მერანი". https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/80228
25. Grovier, Kelly (2025, August 1). 'Her meaning contains multitudes': Why the Statue of Liberty is at the heart of US culture wars. BBC. https://www.bbc.com/culture/article/20250731-the-us-statue-at-the-heart-of-a-culture-war

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)